



„თვითმმართველობა უკეთესი ნიშნით ხელის  
ყოფილებების სიჭრელისა. სიკეთე ღრუბელია, იგი  
ყოფილებების ხეობის... ყოველი სიხელმძივო, რიგის  
ნისხედ კლდით თუ ბეჭედ დიდებო, სიხელ-  
მძივო-სახეობად ბიის დაყოფილი, რომ ძივლად  
და პაწონობა ბდილი იყოს.“  
ი. ჭიჭილაძე

# სოხის მოამბე

№5 (7180)  
15 აპრილი,  
ორშაბათი, 2024 წელი  
ბაზეთი გამოდის 1932 წლის 12 ივლისიდან  
ფასი 0.70 ლარი.

## სოხის მუნიციპალიტეტის გაჭრითი ორგანო

### 14 აპრილი- დედაენის დღე! სულიერ სიმცვიცის და სიწმინდის სიმბოლო...



ლით გამოატარა თავისი ღვიძლი დედაენა ისტორიულ ქარცეცხლების გზაზე და მოიტანა დღემდე, როგორც ქართველი ერის დიდების, სულიერი სიმტკიცის და სიწმინდის სიმბოლო.

დედაენა ქართველი კაცის უძვირფასესი საუნჯეა, რომელშიც ერთ მთლიან სისტემად არის ჩამოყალიბებული ხალხის აზრი. შემოქმედებითი ძალა და სულიერი ცხოვრების ისტორია. დიდი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავდა: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია, დაცული არის ენითა...“ დიდმა იაკობ გოგებაშვილმა კი დედაენას უწოდა „ბურჯი ეროვნების“, მასვე ეკუთვნის გულში ჩამწვდომი სიტყვები: „თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული“.

დედაენის ჯადოსნური ძარღვი, ერთის მხრივ, ჩვენ გვაერთიანებს შორეულ წინაპრებთან, მეორეს მხრივ კი-შთამომავლობასთან.

თაობები მოდიან და მიდიან, მაგრამ მათი აზროვნების კვალი წარუშლელად აღიბეჭდება დედაენაში და საუკუნოდ რჩება შთამომავლობას.

ქვეყანამ, ხალხმა ცეცხლითა და მახვი-

ლაე, თითოეული ქართველის გულში ღვიძლეს ცეცხლი დედაენისადმი უდიდესი სიყვარულისა, რომ კვლავაც ომახიანად მღეროდეს ქართველი.

„კიდევაც დაიზრდებიან, ალაგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შეჭამონ მტრისანი...“

**ნაირა ბერაია.**

### ღაღო ასათიანი ქართული ენა!

საქართველს მთებში გაგაჩინა ზენამ,  
სიყვარულის, ლექსის, საღვთგებულს ენაჲ!  
მდიმღერა დღემდის უძველესმა ცემმა  
შლოგი ჩანჩქერების ნაპრაღებზე სლცემმა,  
მცინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნმა,  
ჯაგნარებში იბმის ჯაგის ნაჯარდმა,  
გაფანტული ფაბის მთაზე დაჯანღმა  
და ქართული ფაბის ფაბზე დაჯახმა!  
უძველესმა ცემმა დღემდის მდიმღერა,  
მწიფე პურის ყანა ქაბში ბგგობ ღელავს,  
სატკინეთში გბდემლზე ბგგობ სცემენ უბნს  
და ვაბსკვლავი ზღვებზე ბგგობ მგგზაუბნს,  
ან მთვაბიან ღამით ციხე-კმშვის ჩბდილში  
ბა ცემილია ფაბულ სიყვარულის შიში,  
ბგგა ღამისმთველუმს ლხინი გაუმაბთავთ  
და სიბმბრები ბგგა თვლუმენ სასთუმალთან...  
საქართველს მთებში გაგაჩინა ზენამ,  
სმათა საჯარბების და ღმერთების ენაჲ!

### გაღღობა გვირგობისთვის! გაღღობა დამოუკიდებლობისთვის! გაღღობა თაბისუფლებისთვის!



9 აპრილის პარკში სოხის წმინდა სამების სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა კირიონ დარასელიამ სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.



9 აპრილი თანამედროვე საქართველოს ისტორიის ორ მნიშვნელოვან თარიღს - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს აერთიანებს.

სოხის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და ქალაქ სოხში, სამშობლოს ერთიანობისთვის თავდადებულთა მემორიალი და ხეთაში 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის სახელობის წყარო, ყვავილებით შეამკეს.

შირის სამხედრო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბეს, რის შედეგადაც 21 მოქალაქე დაიღუპა, ხოლო ასობით ადამიანი დაშავდა.

1989 წლის 9 აპრილიდან ორი წლის-თავზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო.

### ინფორმაცია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე:** ყველა ფიზიკურ პირს, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებს სრულად ჩამოეწერებათ 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება მათზე დარიცხული საურავების ჩათვლით. როგორც კი მივიღებთ ამ კანონპროექტს 145 ათას ფიზიკურ პირს სრულად ჩამოეწერება ჯამში 590 მილიონი ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება. შესაბამისად, 145 ათას ჩვენს თანამოქალაქეს საშუალება ექნება, აქტიურად ჩაერთოს ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ეკონომიკის განვითარებასაც წაადგება.

# აპრილის თვის ბაბალიები...

საბჭოთა კავშირის ისტორიაში, მისი არსებობის უკანასკნელ წლებში გარდატეხი მნიშვნელობის აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილი.

4 აპრილს მომიტინგეებით შეივსო რუსთაველის გამზირზე მთავრობის სახლის წინა მოედანი. მთავარი და პრინციპული მოთხოვნა იყო საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან, რისი კონსტიტუციური უფლება ჰქონდა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკას, მაგრამ ეს უფლება მხოლოდ ეწერა კონსტიტუციაში. მისი მოთხოვნის გააზრებაც კი აკრძალული იყო კომუნისტური რეჟიმის დროს. თუმცა, როგორც ყველა იმპერიას ემართება ხოლმე, საბჭოთა იმპერიის დაშლის დრომ მოაღწია. ამ დროს ბევრი ვერ აცნობიერებდა. მაშინ მამაჩემის თაობას

ლუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ შესაძლოა შესაშინებლად ეჭირათ ცარიელი იარაღი. დავრწმუნდი თუ არა, ისევ დაებრუნდი ჩემს ადგილზე, მთავრობის სახლის წინ.

ალბათ ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა საქართველოს პატრიარქი ილია მეორე მობრძანდა და სიტყვით მოგვმართა. თავშივე ინტუიციით ვიგრძენი, რომ პატრიარქი მოგვიწოდებდა დაშლისკენ. როგორც ყველამ ვიცით, პატრიარქმა გვთხოვა ქაშუეთის ეკლესიაში გადასვლა და ლოცვისკენ მოგვიწოდა. ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ პატრიარქი ხალხისგან უარს მიიღებდა. იქ ისეთი მუხტი იყო და ისეთი აღტკინება, რომ სხვა პასუხი ვერ იქნებოდა. პატრიარქის სიტყვის შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე, ამ ათი

დროშები. რუსი ჯარისკაცები (რომლებსაც ხშირ შემთხვევაში აზიური ჰაბიტუსი ჰქონდათ) აშკარა აგრესიას გამოხატავდნენ... ნიჩბებით ჩაამტკრიეს მინის კარები, აიჭრნენ მეორე სართულზე, გავიდნენ აივანზე, სადაც დროშები ეკიდა. ჩამოსხნეს დროშები, დახიეს და ტარები მუხლებზე გადაიმტკრიეს.

როგორც იცით, არცერთს ბრძოლისთვის არანაირი გამოსაყენებელი ნივთი არ გვქონდა ხელთ. შიშველი ხელებით ვიდექით. ვიღაცას სადაც ხის ტოტი უპოვნია, იმით „უპირისპირდებოდა“ ჯარისკაცთა რიგს... პერიოდულად მოიწვევდა ჯარი რუსთაველის გამზირზე, თავისუფლების მოედნიდან ფილარმონიისკენ. თითქმის ოპერის თეატრამდე ვიყავით მისული, სადაც ტროტუარების რემონტისთვის ქვის გროვა ეყარა. მე და ჩემს გვერდით მყოფებმა ავიღეთ თითო-თითო მოზრდილი ქვა და ვესროლეთ ჯარის პირველ რიგს. ქვის ზომა იმდენად დიდი იყო, რომ ჯარისკაცების რიგმა 1-2 მეტრით წამით უკან დაიხიეს. თუმცა ფარებით მომარჯვებულ ჯარისკაცებს ჩვენი ნასროლი ქვა ვერაფერს დააკლებდა. საბოლოოდ აღმოჩნდით ფილარმონიისთან. აქ იღვა სატელეფონო ჯიხურები, საიდანაც დავრეკე სახლში. დილის 6 საათი იყო. დედაჩემმა მიპასუხა, ორი სიტყვით ავუხსენი მომხდარის შესახებ, ვკითხე ჩემი დის ბედი, რომელიც ვიცოდი რომ მიტინგზე იყო 8 აპრილის საღამოს. დამამშვიდა, რომ სახლში ყოფილა. დედაჩემიც დამშვიდდა ჩემი ხმის გაგონებაზე...

ამ დროს, რუსთაველიდან ჩვენკენ შავი ფერის სამთავრობო მანქანა გამოექანა, მომიტინგეებმა გზა გადაუკეტეთ. გამწარებული ახალგაზრდები „კაპოტ-ზეც“ შეხტნენ. უკანა სავარძელზე პოეტის ჯანსუფ ჩარკვიანი იჯდა. როგორც კი შევაძინეთ, პატივი ვეცით და გზა დავუთმეთ.

მოკლედ, დაგვშალა მოსკოვმა სამხედრო ძალის გამოყენებით. მეორე დღესვე გამოაცხადეს კომენდანტის საათი. სამწუხაროდ, კომენდანტის საათის პირველივე დღეს შეეწირა ახალგაზრდა ქართველი კაცი ვია ქარსელაძე.

სხვადასხვა ქუჩებში დაფანტულებმა თავს ვუშველეთ. რუსთაველიდან წერეთლის გამზირამდე, დილის 9-10 საათი იქნებოდა სახლში რომ მივედი. მამაჩემმა, რომელიც ალმაცერად უყურებდა ჩვენს მოძრაობას, ძალიან განიცადა მდგომარეობა და მაშინ მომიყვია 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, როცა საბჭოთა არმიამ დახვრიტა მომიტინგეები, რომლებიც აპროტესტებდნენ ხრუშჩოვის მიერ სტალინის პიროვნების კულტად გამოცხადებას.

დღეს ზოგისთვის საკამათოდ იქცა აპრილის თვის ბატალიები. განსაკუთრებით საყვედურობენ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ვგიმტკიცებენ, რომ დამოუკიდებლობას ისედაც მივიღებდით. თუმცა საქვეყნოდ ცნობილია, რომ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ხონიით არავინ მოგვართმევდა...

**ლევან სოფორია,**  
**სოხის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მუშაუბების გაერთიანების მენეჯერი**

9 აპრილი, 2024წ.

## ნაკრებიული პროექტი



**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კონკურსში—„სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება“—გამარჯვებული პროექტები გამოავლინა.**


სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს შორისაა ა(ა)იპ „ნობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ პროექტი: „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება“.

კონკურსის ბიუჯეტი შეადგენს 300 000 ლარს და მისი მიზანია, უმაღლეს და სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურული განვითარება, რომელიც მოემსახურება სასწავლებლების ძირითად მიზნებს;

მოსწავლეებისა და პედაგოგების მოტივაციის ამაღლება;

საშემსრულებლო ოსტატობის სრულყოფისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა.

ვულოცავთ პროექტის ავტორს გამარჯვებას და მომავალ წარმატებას ვუსურვებთ.



და არა მარტო მათ, ვერც კი წარმოედგინათ ამ უძლიერესი და უდიდესი სახელმწიფოს დაშლა...

როგორც წინა დღეებში, 8 აპრილის საღამოსაც წავედი რუსთაველზე. მიუთმეტეს ვიცოდი, რომ რუსებს ჯარი ჰყავდათ ჩამოყვანილი. (იმ დღეს დემონსტრირებაც კი მოახდინა ძალოვანმა ჯავშნოსანმა ტექნიკამ და ვერტმფრენებმა თბილისში).

შევუერთდი მომიტინგეებს. ხალხს სიტყვით მიმართავდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები, ჩვეულებრივი მოქალაქეები და სტუდენტები. წარმოუდგენელი ერთიანობა და ერთმანეთის მიმართ სიყვარული სუფევდა ქართველებში. ამ ერთობის ძალით მზად ვიყავით შიშველი ხელებით დაგხვედროდით მსოფლიოში ერთადერთ უძლიერეს სამხედრო ძალას.

ალბათ ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა სამხედრო მანქანების ხმები ისმოდა მთავრობის სახლის გვერდითი—(ამჟამინდელი ჭიჭინაძისა და 9 აპრილის ქ.) ქუჩებიდან. მინდოდა ჩემი თვალით მენახა და დარწმუნებულვიყავი მათი „ვიზიტით“ და წავედი ჭიჭინაძის ქუჩისკენ. მთავრობის სასახლის გვერდითი კარიდან მიყოლებით შედიოდა შეიარაღებული ჯარისკაცებით სავსე სამხედრო მანქანები. ვიხელთე დრო და სანამ ჭიჭინაძის გაალებდნენ მანქანის კაბინაში მჯდარ ოფიცერს შევეკითხე: „გვესვრით? თუ თქვენ გვესვრით, მაშინ გვესვრით!“

მაჩვენეთ თქვენი ავტომატის მჭიდი,—ოფიცერმა მოხსნა მჭიდი და ვაზნებით სავსე მაჩვენა. მანამდე გუ-

რავოზე, საბჭოთა არმიაც დაიქოქა და გამოემართა თავისუფლების მოედნიდან ჩვენსკენ. პირველად გამოჩნდა ჯავშანტექნიკა (ბეტეერი), ჩვენ ტროტუარებისკენ გავიწიეთ და საშუალება მივეცით ტექნიკას გაველო, თან ტაშს ვუკრავდით, ერთგვარ დამამცირებელ ტაშს. ვფიქრობდით, რომ ჩაივილია ტექნიკა და ჩვენ ისევ დაუბრუნდებოდით ლოკაციას, მაგრამ ასე არ გამოვიდა, სტრატეგიით გვაჯობეს და ბეტეერებს ჯარი მოყვა ფეხდაფეხ. ჩვენ კი ჯარის წინ აღმოვჩნდით. ყველაზე დიდი დარტყმა მიიღეს მათ, ვინც წინა ხაზზე იდგნენ, ადამიანებმა რომლებიც გარკვეულწილად ალყაში მოექცნენ. მთავრობის სახლის კიბეებზე მსხდომი მოშიშლილები კი სასტიკად დაარბიეს. ეს იყო პირდაპირი მნიშვნელობით ჩეხვა. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, (მოსკოვის ბრძანებით წინასწარ იარაღიერი) ქართული მილიციის ღვაწლი. მაქსიმალურად ეხმარებოდნენ ადამიანებს, თუმცა მათ არანაირი პრივილეგია არ ჰქონდათ რუსი გენერალიტეტისგან. შედეგად, ორღესული ნიჩბებითა და მომწამვლელი (დღემდე უცნობი) გაზით დაღუპულები მივიღეთ. აქედან უმრავლესობა ქალები და გოგონები იყვნენ.

იმ პერიოდისთვის მთავრობის სახლის წინ მდებარე შენობაში, რომელიც შემდგომ პუტჩის დროს დაინგრა (დღევანდელ სახვითი ხელოვნების მუზეუმის ადგილას), სადაც იყო ამერიკელი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა. შესაბამისად, აივანზე სიმბოლურად გამოფენილი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ეროვნული

ლუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ შესაძლოა შესაშინებლად ეჭირათ ცარიელი იარაღი. დავრწმუნდი თუ არა, ისევ დაებრუნდი ჩემს ადგილზე, მთავრობის სახლის წინ.



### ირაკლი კუპავა-სობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში

#### რა სიახლეების მოლოდინია?

–გაზაფხულის დადგომა სოფელში ყველასთვის მნიშვნელოვანი დრო და პერიოდი მგონია, რადგან იღვიძებს ბუნებას, ჩქეფს სიცოცხლე, მოსახლეობა ფაციფუცობს, ამზადებენ საყანე ფართობებს სახნავ-სათესი საშუალებისთვის და ამ ყველაფრის შემყურეს, ორმაგად მასხარებს დიდი პროექტის საშუალების დაწყებას. პროექტი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში ორ სოფელს და გათვლილია თორსა-ხამისკურის დამაკავშირებელ გზაზე მცხოვრები მოსახლეობის კომფორტზე. გზის სიგრძე დაახლოებით 3,9კმ-ია, სიგანე

ნობისათვის მორგებული და მიზანშეწონილი ტერიტორია. შეგვიპირდნენ, რომ მაქსიმალურად მალე დაპროექტდება დაახლოებით 120 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა და შესაბამისად, უმოკლეს ვადებში ბავშვები და მასწავლებლები შეძლებენ ევროპული სტანდარტებით აშენებულ და აღჭურვილ სკოლაში შესვლას.

**2024 საარჩევნო წელია, რომელიც ახლებური ტექნოლოგიებით ტარდება, რა განწყობაა სოფელში. თანასოფლელებს თუ მოსწონთ სიახლეები. დაიწყო საარჩევნო ფაციფუცი? ამჟამად რა პროცესები ხორციელდება?**

–2024 წლის არჩევნებში დიდ

მთელი გულით ვუსურვებ მას წარმატებას.

**ბატონო ირაკლი, ხალხთან ურთიერთობაზე რას იტყვით? ერთი სიტუაციიდან მეორეზე გადასვლას ანუ ადაპტაციას ადვილად ახერხებთ?**

–ერთფეროვნება არასდროს მიყვარდა. შესაბამისად, არასდროს არ მიმუშავია მხოლოდ ერთ ჯგუფთან, ყოველთვის ვიყავი კომუნიკაბელური, ჩემთვის სასიამოვნოა ადამიანებთან ურთიერთობა, განსხვავებული აზრების მოსმენა, განსხვავებული თემების გარჩევა, განსხვავებულ პრობლემებთან კვიდილი. მიუხედავად ბევრი განსხვავებული აზრისა და პრობლემისა, ურთიერთობა და კომუნი-

არც ისე დიდი ხანია, 2023 წელი მიილია, ბატონო ირაკლი, გვიამბეთ რა გაკეთდა გასულ წელს სოფელში ხალხის კეთილდღეობისთვის?

–მოვესალმებით, მივესალმები გაზეთ „სობის მოამბეს“ მკითხველს.

2023 წელს ბევრი რამ გაკეთდა სამისკურში, კერძოდ: წლის დასაწყისში ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას აუნაზღაურდა ზარალი. მელორაციის სამსახურმა გაწმინდა „ოჩხომურის“ სანიღვრე არხი, რომლის წყალგაუმტარიანობაც წვიმების დროს პრობლემას უქმნიდა ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩაზე მცხოვრებ მოსახლეობას და ასევე, ტბორავდა საყანე ფართობებს. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ საკუკავოს და სამისკურის უბნებმა გააერთიანეს თანხები და საკუკავოს უბანში არსებული სასაფლაოს ტერიტორია შემოიღობა მავთულბადის პანელებით, საქირიოს უბანში კი კერძოდ, ანზორ ბერიშვილის სახლთან არსებულ სანიღვრე არხზე მოეწყო ხიდბოგირი. ბადრი ქალდანიასა და ივორ კანკიას სახლებთან შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები და მოეწყო გაბიონები.

ასევე საკუკავოს უბანში არსებულ სასაფლაოსთან შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები და მოეწყო გაბიონი.

სოციალურად დაუცველ 2 ოჯახს გადაეცა სახლის გადასახური მასალა, როგორც პროფნასტილი, ასევე ხის კოჭები.

დასრულდა საქირიოს უბანში არსებული ეკლესიიდან სკოლამდე გზის რეაბილიტაცია და დაიგო რკინა-ბეტონის საფარი, რომელიც დაახლოებით 1,2 კმ-ია. მოწესრიგდა ხიდები და სანიღვრე არხები, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები და გაკეთდა გაბიონები.

ალექსანდრე კვარაცხელიას და ვიტალი კუკავას სახლებთან გაკეთდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდბოგირები.

ასევე გაიცა ერთჯერადი დახმარებები და სამედიცინო დაფინანსებები, რომ არაფერი გამომრჩა.

**გაზაფხული დადგა. ეს დრო სოფელში დიდად ფასობს. რა გეგმები გაქვთ,**

## სამისკურელთა ბაკმეთებულ-ბასაკმეთებელი საჭმელები

5მ. ასრულდა აღნიშნულ მონაკვეთზე მცხოვრები ადამიანების ოცნება, რაშიც უსაზღვრო წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბუკიას, რისთვისაც მადლიერი მოსახლეობის სახელით მადლობას ვუხდით მას.

ასევე დაიწყო ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული საფეხბურთო მინი მოედნის რეაბილიტაცია, რომელსაც სამისკურის ახალგაზრდობა მოუთმენლად ელოდებოდა.

დაპროექტებული და ტენდერზე გატანილი იყო ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრთან არსებული სარკინიგზო მაგისტრალის ქვეშ სამანქანო გზის რეაბილიტაცია, რომელსაც გამარჯვებული კომპანია უკვე ჰყავს და ველოდებით სამუშაოების დაწყებას. ასევე ველოდებით საქირიოს უბანში, კერძოდ კახა ქირიას, ივორ ქირიას და ლევან ქირიას საცხოვრებელ სახლებთან არსებული სანიღვრე არხების გაბიონით მოწყობის პროექტებს და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

**რა ეტაპზეა სამისკურის საჯარო სკოლის რეაბილიტაციის პროცესი?**

–სოფელში იყო ჩამოსული რამდენიმე ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც სათანადოდ შეისწავლეს არსებული სკოლის შენობა, განიხილეს მისი დემონტაჟისთვის საჭირო პროცედურები, ახალი სკოლის შე-

გამოწვევებს ველოდებით, მაგრამ მაინც მგონია, რომ დიდ სირთულეს არ წარმოადგენს ჩვენი ხელისუფლებისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ არიან პროფესიონალი ლიდერები, მოსახლეობის მიმართ უსაზღვროდ ყურადღებიანები, პრობლემებს საგულდაგულოდ სწავლობენ და მათ აღმოსაფხვრელად სწრაფად რეაგირებენ. ყველაფერს რომ თავი დაგანებოთ, არიან მშვიდობის ეტალონები და კბილებით ინარჩუნებენ მშვიდობას ქვეყანაში.

საარჩევნო ფაციფუციც შეიმჩნევა და მგონია, რომ მოსახლეობა მზადა არის ღირსეულად დააფიქსიროს სწორი არჩევანი.

**ცოტა რამ თქვენზეც გვიამბეთ. არის რაიმე ახალი თქვენთან?**

–ყოველთვის მიჭირს ჩემზე საუბარი, თუმცა სიმართლეს გეტყვით, სიახლეს არაფერი მაქვს პირადში. რაც შეეხება სამსახურეობრივ მიმართულებას, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი სპეციალისტი თემურაზ კაკულია დააწინაურეს და მერიაში, კერძოდ ინფრასტრუქტურის სამსახურში გადაიყვანეს. მე კი ვარ ახალი სპეციალისტის მოლოდინში. თემურის წასვლამ ყველას გული დაგვწყვიტა სამსახურში, მაგრამ გვახარებს ის ფაქტი, რომ მისთვის სასურველ და მორგებულ პოზიციაზე არის გადასული.

კაცია არასდროს არ გამჭირვებია, რადგან ყველა ურთიერთობას საფუძვლად აქვს პატივისცემა და ადამიანობა. მოსახლეობასთან ურთიერთობაში და ადაპტირებაში ხელს გვიწყობს სოფლისადმი საერთო სიყვარული, ერთმანეთის პატივისცემა და დაფასება.

**რა არის თქვენთვის ყველაზე ფასეული?**

–ღირსება, ზრდილობა, ადამიანობა, ოჯახი. ეს ყოველივე არის ჩემთვის ფასეული და დავამატებდი ჩემს პრიორიტეტს. ბევრჯერ მითქვამს და ყოველთვის ვიტყვი, რომ ჩემთვის თუნდაც სამსახურებრივად პრიორიტეტულია ახალგაზრდები და მათი განათლება, მაქსიმალურს გავაკეთებ ახალგაზრდებისთვის და მათი ბედნიერი მომავლისთვის.

**გადაწყვეტილი ხალხთან ერთად, მათი სურვილის გათვალისწინებით, რა გაკეთდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში?**

–წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ადმინისტრაციული ერთეულის სამივე სოფელი გაერთიანდა, გააერთიანეს მათთვის განკუთვნილი თანხა, ერთხმად აირჩიეს ახალგაზრდებისთვის დასასვენებელი სკვერის მოწყობა, რომელიც გაკეთდება სოფლის ცენტრში საფეხბურთო მინი სტადიონთან ახლოს. აღნიშნული

სკვერი იქნება კეთილმოწყობილი, განათებული, გამწვანებული და ყველა თაობის ადამიანზე მორგებული.

**განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებთან როგორ ურთიერთობთ?**

–ნამდვილად არ გვიჭირს კომუნიკაცია, აზრების გაცვლა, თუნდაც იყოს ის განსხვავებული. სიმართლეს ვერცერთი ვერ გავეცქევით. საჭიროების შემთხვევაში ერთად ვპულობთ გამოსავალს. კომფლიქტი ჯერ არავისთან არ მქონია, რაც ისევე და ისევე ერთმანეთის მიმართ პატივისცემის დამსახურებად მიმაჩნია. ერთმანეთის პატივისცემა კი სამაგალითო გვაქვს სამისკურში.

**რა არის თქვენთვის სამშობლო, თქვენი კუთხე, თქვენი სოფელი?**

–ჩემი სოფელი ჩემი „ოჯახია“, მის შემოგარენზე ზუსტად ისე ვზრუნავ როგორც ჩემს კარმიდამოზე, ან შეიძლება მეტადაც კი. ვინც მიცნობს, ნამდვილად დამიდასტურებს ამ სიტყვებს, რადგან სახლში უმეტესად დამე მიწვევს მისვლა და ვერაფერს ვერ ვასწრებ ფიზიკურად. ამაში ჩემი საოცარი კოლეგებიც დამემოწმებია, რადგან მათ ყველაზე კარგად ესმით თუ რას ვვულისხმობ.

რაც შეეხება ჩემს კუთხეს, ჩემს სამეგრელოს, ის არის ჩემი სიამაყე. აქ დავიბადე, აქ აღვიზარდე და აქ ვმოღვაწეობ. ჩემი სამშობლო არის საქართველო, რომელიც წინაპრებმა შემინარჩუნეს.

ჩემი სამშობლო არის „ოჯახი“, სადაც აღმზარდეს ქრისტიანულად და ქართულ ტრადიციებზე, სადაც ვმოღვაწეობ და ელოცულობ წინაპრების დანატოვარ რელიგიას.

ჩემი სამშობლო არის „სიამაყე“, რომელსაც აუცილებლად გადავცემ ჩემს მომავალ თაობას **იქნებ კიდევ რამე გინდათ თქვით, რა არის ის?**

–მინდა მოვეფერო ჩემს ოჯახს, საყვარელ ადამიანებს, მთელს საქართველოს და ღირსეულ ახალგაზრდებს. მინდა მადლობა გადაუხადო მუნიციპალიტეტის მერიას და ქვეყნის ხელისუფლებას, რადგან მათი დამსახურებაა ასე ამაყად, რომ შემიძლია საუბარი ერთი წლის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე. ვუსურვო ყველას მშვიდობა და წარმატება ღვთისნიერ საქმიანობაში.

აქვე ვისარგებლებ თქვენი გაზეთით და სრულიად ქართველ ერს ვულოცავ საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მიერ დაწერილ ახალ ისტორიას, ნაკრებს კი ვუსურვებ ულევ წარმატებას.

**მადლობა ინტერვიუსთვის.**

–მადლობა თქვენ, უყურადღებოდ არასდროს რომ არ მტოვებთ. მინდა გისურვოთ წარმატებები და ბევრი ერთგული მკითხველი.

**ისაუბრა ნანი კილასონია.**



ათეული წელია ირა სინარული პროფესიის სიყვარულით შრომობს და მოსწავლეებს ხატვის ხელოვნებას აზიარებს, როგორც სკოლებში, ასევე ნობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში. ორმოცი წლის მანძილზე საკმაოდ ბევრმა ბავშვმა გაიარა მის ხელში და იმათ, ვისაც ხატვა უყვართ, გააცნო ხატვის საიდუმლო და შეაყვარა იგი.

ირა მასწავლებელს ემადლიერებიან ბავშვები, მათი მშობლები, მეგობრები და ისინი, ვისთანაც მას ათეული წელი თბილად და მზრუნველად უმუშავნია და უცხოვრია. ქალბატონი ირა ბავშვობიდან ნაოცნებარის კვალდაკვალ დღესაც ემოციებით აკეთებს თავის საკეთებელ საქმეს.

მის მიერ შესრულებული ნახატები ძალიან ლამაზია, მგრძობიარე და ესთეტიკური...

## ბავშვობიდან ნაოცნებარის კვალდაკვალ



ნებულვიყავი რაიონში. მუშაობა დავიწყე ზემო ქვალონის საჯარო სკოლაში ხატვა-ხაზვის მასწავლებლად. პარალელურად მიმიწვიეს ყოფილ პიონერთა სახლში (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი), სადაც დღემდე ვმუშაობ ხატვისა და ანიმაციური ფილმების წრის სპეციალისტ-მასწავლებლად.

**თქვენს ოჯახზე გვესაუბრეთ...**

–მეექვსედი ოჯახი. მყავს მეუღლე მამუკა ფაჩულია და შვილი ნინო ფაჩულია. ნინო სწავლობს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე (ინგლისური). არის წარმატებული სტუდენტი.

**თქვენი ნახატები ბევრჯერ გვინახავს გამოფენილი ხომში სხვადასხვა ღონისძიებებზე, გამოფენებზე... რას გრძნობთ, როცა ნამუშევრებს გიქებენ?**

–მიყვარს ჩემი საქმე, სულიერად ვმშვიდდები, როცა ჩემი მოსწავლეები აღწევენ გარკვეულ წარმატებებს. აქტიურად არიან ჩართულები, როგორც სასკოლო, ასევე მუნიციპალიტეტისა და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, საიდანაც არაერთხელ მიუღიათ სერთიფიკატები. ვცდილობ, რომ კარგი შედეგები ჰქონდეთ მოსწავლეებს, თითოეული მათი გამარჯვება ჩემი წარმატებაა, ჩემი სიხარული.

არ მიყვარს, როცა ვინმე მაქებს, ან ნამუშევრებს მიქებენ. ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა დადის ხომში ისეთი, რომლებიც არავის ჩამოუვარება, ჩემი მოსწავლეები, ნაცნობებიც. ბევრმა საბოლოო პროფესიად მხატვრობა აირჩია. ეს ჩემს გამარჯვებად მიმაჩნია. როცა მირეკავენ, უფ-

რო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მოსწავლეების მიმართ და ვცდილობ, სწორი მიმართულება მივცე მათ.

**თქვენს ნახატებს გარდა ხობისა, სადმე დაუდგია ბინა და იყო შეფასებები?**

–ამ წლების განმავლობაში აქტიურად მიმიღია მონაწილეობა როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო ღონისძიებაში. სხვადასხვა წლებში მაქვს მიღებული დიპლომები, სერთიფიკატები და საიუბილეო მედალი ი. გოგებაშვილის სახელობის საუკეთესო კლას-კაბინეტის შექმნის-



თვის, მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული მოუნიჭებია ჩემს მოსწავლეებს, როცა მათ მიუღიათ კარგი შეფასება და დაასაჩუქრეს.

**ქალბატონო ირა, საქართველოში ძალიან ბევრი მხატვარია, რომელთა სახელები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქვეყნის ისტორიაში. თქვენ, რომელი ქართველი მხატვარი გემაყვება?**

–ბევრი ქართველი მხატვარის ქმნილებები მიტაცებს და მეამაყება, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სასურველი, და ვიტყვოდი, მიყვარს, დადებით განაწყობას მიქმნის რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატები.

**გვიამბეთ თქვენს სამსახურებზე, იქ მომუშავე ადამიანებზე. როგორი მეგობარი და თანამშრომელი ხართ?**

–ყოველი სამუშაო დღე ჩვეულებრივ იწყება ჩემს მე-



გობრებთან ურთიერთობით. ჩემი მეორე ოჯახია სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონის საჯარო სკოლა, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი. ყველგან ძალიან კარგი ადამიანები შრომობენ, რომელთა გარეშე ჩემი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია.

**ირა, რას გვეტყვით თქვენს შემოქმედებაზე, საკუთარ პიროვნულ თვისებებზე?**

–ჩემს შემოქმედებაზე შემიძლია ვთქვა, რომ უფრო ბევრად მეტის შესაძლებლობები მქონდა.

ვარ დადებითი პიროვნება, კომუნიკაბელური. ყველასთან ერთნაირად ვურთიერთობ.

გურჩევ ყველა ახალგაზრდას, რომ თავისი საყვარელი საქმით დაკავდნენ, იყვნენ არჩეულ პროფესიაზე შეყვარებულნი.

**დაგემშვიდობებით. მადლობა ინტერვიუსთვის. წარმატებები გაგმრავლებოდეთ.**

**ესაუბრა ნანი კილასონია.**

### ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საშეროზიოს უბანში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად შიდა სასოფლო გზაზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა კიუვეტები, მილხიდები და ეზობთან მისასვლელი.

ახალ ხიბულაში მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბუკიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძემ დაათვალიერეს.

ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 1 543 630 ლარია.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის რვა პროექტი ხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის სამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სპორტული მოედნის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია გაეცნენ.

სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის წინადადების საფუძველზე და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 39528 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სრულად რეაბილიტირდება: შუა ქვალონის, პირველი მაისის, ხამისკურის და ქალაქ ხობის (ნოდარ შენგელიას სახელობის) ხელოვნურსაფარიანი სტადიონები.

განათლება მენტორის სამყაროს უკეთესობისკენ

აგრო

პედაგოგიურ პრაქტიკასა თუ ცხოვრებაში ხშირად შეგვიწინააღმდეგება, რომ ერთსა და იმავე საქმეს ერთი ადამიანი გულმოდგინედ აკეთებს, მეორე კი სწავლას გართობას ამჯობინებს. მაინც რა აიძულებს ადამიანს იყოს შეუპოვარი, ან ადვილად დაწვდეს? ადამიანის ქცევას განწყობა განსაზღვრავს, ყველა საქმეში გვევლინება მოტივაცია, სურვილი კეთებისა. სასკოლო პროცესის წარმართვის საუკეთესო საშუალება სწორედ მოტივაციაა.

ცნობილია მოტივების ორი კლასი— შინაგანი და გარეგანი. შინაგანი მოტივაციის

განიხილვის უნარს. კი არ ასწავლო, არამედ ხელი შეუწყოს სწავლას— ეს არის პედაგოგის მთავარი ფუნქცია. განათლებულია ადამიანი, რომელმაც ისწავლა, როგორ ისწავლოს. მისი აზრით, ადამიანის ქცევას მართავს თვითრეალიზაციის ტენდენცია. ეს არის ზრდის პროცესი, რაც პიროვნების ძალების გაზრდას გულისხმობს. თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია მისწრაფება კომპეტენტობისკენ. ადამიანები არსებითად კარგი და კეთილი არსებები არიან და მათ აქვთ თვითრეალიზაციის ტენდენცია, ანუ თანდაყოლილი მიდ-

თავი. როჯერსის თეორიის მიხედვით, „როცა ადამიანებს იღებენ და აფასებენ, როცა ადამიანებს ემპათიით უსმენენ, ისინი სწავლობენ თავიანთი განცდების უკეთ აღქმასა და სწორად გაგებას“.

ამდენად, სწავლება ნაყოფიერია, თუ:

• მოსწავლე სრულად არის ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში;

• ახორციელებს პრაქტიკულ, კვლევით აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც სწავლა უფრო მეტად მორგებული ხდება ინდივიდის საჭიროებებზე;

• მუდმივად აფასებს საკუ-

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მოტივაციაზე საუბრისას, ესაა რწმენა. თუ მოსწავლე დარწმუნებულია, რომ მას არ აქვს სათანადო უნარი, მაშინ ის სწორედ ამ რწმენის შესაბამისად იმოქმედებს მაშინაც კი, თუ მისი რეალური შესაძლებლობები საშუალოზე მაღალია. ასეთ მოსწავლეებს ნაკლები მოტივაცია ექნებათ, ისწავლონ რომელიმე კონკრეტული საგანი, რადგან ისინი მარცხს ელიან. თუ ფიქრობენ, რომ წარუმატებლობა მათ სულელად წარმოაჩენს, ისინი თავდაცვით მექანიზმებს მიმართავენ. პედაგოგის მოწო-

ვლობი; გააწონასწოროს სწავლების ინტელექტუალური და ემოციური კომპონენტები; შეძლოს, რომ არ იყოს დომინანტი-გაიზიაროს მოსწავლის განცდები.

უნდა გვახსოვდეს, რომ საკუთარი „მე“-ს იდეალური შეზღუდვის საუკეთესო გზა ახალი გამოცდილების მუდმივი ძიება და მისი მიმდევრობაა. ადამიანთა კატეგორია, რომელიც კონცენტრირებულია კომფორტის ზონიდან გამოსვლისკენ და ცხოვრების ნებისმიერი გამოწვევის სრული სისასვით განცდილსაკენ, ირჩევს სწორ მიმართულებას. შედეგების პროცე-

კარლ როჯერსის პუბლიცისტური თეორიის ძირითადი პრინციპები

დროს ქცევას საფუძვლად უდევს ადამიანის ინტერესები, მოთხოვნები. როდესაც ჩვენ შინაგანად ვართ მოტივირებულნი, არ გვეჭირდება აქტიურობის წახალისება ან დასჯა. ხოლო გარეგანი მოტივაციის დროს ვიქცევით კარგი შეფასების მიღებისთვის, დასჯის თავიდან აცილების მიზნით, მშობლის სიმკაცრისთვის და ა.შ. ამ შემთხვევაში ვმოქმედებთ არა იმიტომ, რომ ის გვანტიგრესებს, არამედ ვფიქრობთ, თუ რას მოგვიტანს ეს ქცევა. შინაგანად მოტივირებული მოზარდები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის, თვითკონტროლის მაღალი უნარით და, ზოგადად, უფრო დადებითი განწყობა აქვთ განათლების, სწავლის მიმართ. შინაგანად მოტივირებული მოზარდები უფრო თავდაჯერებულნი არიან. მათ არ ეშინიათ რთული ამოცანების და მათი დაძლევის ახალი, უფრო ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში არიან. გარეგანად მოტივირებულ მოზარდებს კი ახასიათებთ სირთულეების და რისკის მიმართ მკაფიოდ გამოხატული შიში. როგორც ვეხსი, ასეთი მოზარდების მიზანია, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერჯის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის (წახალისება/ჯილდო) მიღება. ბუნებრივია, ეს სტრატეგია არ არის ეფექტური რთული ამოცანების დასაძლევად, შესაბამისად, გასაკვირვებელია, რომ გარეგანი ფაქტორებით მოტივირებული მოზარდების მცდელობა, თავი აარიდონ რთულ დავალებებს.

როჯერსი აღნიშნავს, რომ განათლებულია ეფუძნება არა ცოდნას, არამედ მისი მოპო-

რეკილება ზრდისკენ და თავიანთი უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისკენ.

თვითრეალიზაციის ტენდენცია ყველა პიროვნებაში სხვადასხვაგვარად ვლინდება. როჯერსის თეორია ძირითად აქცენტს საკუთარ „მე“-ზე აკეთებს. ის ადამიანები, რომლებიც სწორად შეიცნობენ საკუთარ თავს, მათ შორის საკუთარ შესაძლებლობებს, ფანტაზიებს, ნაკლოვანებებსა და სურვილებს, უკვე თვითრეალიზაციის გზაზე დგანან. თვითრეალიზაციისკენ ნაკლებად ისწრაფვიან ის ადამიანები, რომლებსაც არასწორი წარმოდგენა აქვთ საკუთარ „მე“-ზე.

ადამიანი პიროვნულად რომ გაიზარდოს, შემდეგი სამი პირობაა მნიშვნელოვანი: გულწრფელობა, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და ემპათია. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლის პიროვნულ ზრდას მათ მიმართ გულწრფელი და გულდია დამოკიდებულებით, პირადი გრძნობების, შეხედულებების, მიზნების, შიშების, ოცნებებისა და ა. შ. გულახდილად გაზიარებით.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ნაწილია თვითაღქმა, ის ფიქრები და გრძნობები, რომლებიც მას „ვინ ვარ მე?“ კითხვის საპასუხოდ უჩნდება. თუ ადამიანს დადებითი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, მაშინ დადებით საქციელს ავლენს და სამყაროსაც პოზიტიურად აღიქვამს, თუ უარყოფითი—ის უკმაყოფილოდ და უბედურად გრძნობს თავს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგები დაეხმარონ მოსწავლეებს, შეიცნონ და მიიღონ საკუთარი

თარ თავს, რაც მისი პროგრესისა და წარმატების შეფასების ძირითადი მეტოქეა;

• საგნის შინაარსი და პიროვნების ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა;

• საჭიროა ისეთი ახალი მიდგომებისა და პერსპექტივების მოძებნა, რომელიც გამოიწვევს სწავლისადმი მოტივირებას.

სწავლების პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, თუ ადამიანს არ აქვს სასწავლო გარემოს შიში. ამიტომაც უნდა მივცეთ ნება და წავახალისოთ მოსწავლეები, გააკეთონ არჩევანი; დაუხსნათ სასწავლო მიზნების განხორციელების რამდენიმე გზა, მაგალითად, პრეზენტაციის ან პროექტის მომზადება; მივცეთ მათ საშუალება, აირჩიონ ერთ-ერთი; წავაქეზოთ ისინი სასაუბროდ, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი; დავეხმაროთ მოსწავლეებს, დავეგმოთ და განახორციელონ თავიანთი საქმიანობა; მოვუძებნოთ რაციონალური ახსნა შეზღუდვებსა და წესებს; ავხსნათ მიზეზები, რომლებიც აუცილებელს ხდის წესების შემოღებას. თვითონაც ზედმიწევნით დავიცვათ წესები. გავაცნობიეროთ, რომ პედაგოგის მხრიდან კონტროლს ლოგიკურად მოსდევს ნეგატიური ემოციები. მივმართოთ პოზიტიურ უკუკავშირს: ცუდად შესრულებულ დავალებას ნუ განვიხილავთ, როგორც კრიტიკის ობიექტს. განვიხილოთ ის, როგორც პრობლემა, რომელიც უნდა გამოსწორდეს. თავი ავარიდოთ ისეთ მაკონტროლებელ მიმართვებს, როგორიცაა— ვაღიარებდი ხარ, მოგიწევს და ა.შ.

„განათლებული მხოლოდ ისაა, ვინც იცის, როგორ ისწავლოს და შეიცვალოს.“  
კარლ როჯერსი

დება, რომ სცადონ მეტი, არ არის საკმარისი. მოსწავლეებს სჭირდებათ მკაფიო არგუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ მათი ძალისხმევა უკვალოდ არ ჩაივლის და მათი უნარები შეიძლება შეიცვალოს.

სწავლების პროცესში მუდმივი ცვლილება აუცილებელია, ეს ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლე თვითონ არის აქტიური და ინიციატივანი. იგი აცნობიერებს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობს მისი სწავლისადმი ინტერესების გაზრდას. გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება პიროვნების ცვლილებისა და ზრდის ეკვივალენტურია.

როჯერსის თეორიის მიხედვით, ადამიანებს სწავლის ბუნებრივი ნიჭი გააჩნიათ. მასწავლებლის როლი სწორედ ის არის, რომ სწავლების პროცესში შექმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც მოსწავლეს შეეძლება ამ ნიჭის გამოვლენა. ამისათვის საჭიროა, რომ მასწავლებელმა შექმნას პოზიტიური გარემო სწავლებისათვის; სწორად ჩამოაყალიბოს სწავლების მიზანი; სისტემაში მოიყვანოს სასწავლო რესურსები და გახადოს მოსწავლეებისთვის ხელმისაწ-

სი გულისხმობს როგორც სამყაროსადმი ღიაობასა და მიმდევრობას, ასევე საკუთარი თავის ძირეულ შესწავლას.

„გამოცდილება, ჩემთვის, უზენაესი ძალაუფლებაა. სანდობის საზომი სწორედ საკუთარი გამოცდილებაა. ვერც საკუთარი და არც სხვისი იდეები ვერ იქნება იმაზე ავტორიტეტული, ვიდრე გამოცდილებით მიღებული ცოდნა. ცდა არის გზა, რომელიც შედეგების პროცესში, საშუალებას გაძლევს თანდათან მიუახლოვდეთ ჭეშმარიტებას. ვერც ბიბლიას ან წინასწარმეტყველებს, ვერც ფროიდი-სა თუ მკვლევარების იდეებს ვერ ექნებათ იმაზე მეტი ძალა, ვიდრე საკუთარი ცხოვრებისაგან მიღებულ გამოცდილებას. მხოლოდ ასეა შედეგობრივი სინამდვილის გადმოწმება სრულიად ახალი გზებით. ცდომილების პოვნა კი მისი გამოსწორების შესაძლებლობაა.“ (ნ. ბეცომინგ, ა. ერსონ, 1961).

თვითაქტუალიზაციის მთავარი იდეა ადამიანის შეუჩერებელი მისწრაფებაა ბედნიერების მოპოვებისა და სრული თვითრეალიზაციისკენ. აღაპტაციის, სწავლისა და ზრდის შესაძლებლობა ისეთი მდგომარეობის მოპოვების საწყისია, რომელიც ინდივიდს სრულად ფუნქციურს ხდის.

გულისა გეგეშია, ზაზა უულაია, სსიპ სობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს საჯარო სკოლის მართული პენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში



ზვიად გამსახურდიას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. ღონისძიებას ნობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

31 მარტს, ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მემორიალურ სახლში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმის და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.



საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მწერალს, დისიდენტს, ეროვნულ გმირს, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოს-ზვიად გამსახურდიას 85 წელი შეუსრულდებოდა. პრეზიდენტმა ცხოვრების უკანასკნელი დღეები ძველ ხიბულაში გაატარა. ძველი ხიბულის მართალი ლაზარეს აღდგინების ტაძარში, დეკანოზმა კირიონ დარასელიამ

თველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

ძველ ხიბულაში ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის რეაბილიტაცია, ლაზარეს აღდგინების სახელობის სამონასტრო კომპლექსის და საბავშვო ბაღის მშენებლობა ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა.

აღნიშნული პროექტების განხორციელებას ბიძინა ივანიშვილი ადგილობრივ მოსახლეობას 2019 წლის 29 მარტს, ძველ ხიბულაში სტუმრობისას დაჰპირდა.



6 აპრილს, ნობის ცენტრალურ პარკში, სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შეჯიბრებები გაიმართა მაგიდის ჩოგბურთსა და გეზბენში.

სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული და პრიზიორი სკოლის მოსწავლეები თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ნობის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ „ნობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა.



2013 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 6 აპრილი სპორტის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. მიღებული დადგენილების თანახმად, 2014 წლიდან, ყოველი წლის 6 აპრილს, საქართველო მსოფლიოსთან ერთად აღნიშნავს ამ თარიღს.

6 აპრილი სიმბოლურად იქნა შერჩეული, რადგან სწორედ 1896 წლის 6 აპრილს, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ოფიციალურად გაიხსნა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები.



ნობის კულტურის სასახლის დიდ დარბაზში, ნობის მუნიციპალიტეტის სკოლების გუნდების მონაწილეობით. ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? ევროპის შესახებ“ გაიმართა.



ინტელექტუალურ თამაშში პირველი ადგილი ქალაქ ნობის №2 საჯარო სკოლის გუნდმა „ევრატომი“, მეორე ადგილი-ახალსოფლის საჯარო სკოლამ, ხოლო მესამე-პატარა ფოთის საჯარო სკოლის გუნდებმა დაიკავეს.



ღონისძიება საქართველოს ინტელექტ-კლუბის-„რა? სად? როდის?“ ორგანიზებითა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით ჩატარდა.

ნობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის შესაბამისად-ნატანი მასისგან და ხე-მცენარეებისგან იწმინდება 3-კილომეტრიანი მთავარი წყალშემკრები არხი.

პროექტის განხორციელების შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება, რაც სამეურნეო სავარგულების მოსავლიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

სამელიორაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს.



ქვესაუბრობი

მოვესალმებით. მე გახლავართ ნა-  
ირა ბერაია, კულტურის ცენტრის  
მედიისა და საზოგადოებასთან  
ურთიერთობის სამსახურის  
წამყვანი სპეციალისტი და გაზეთ  
„სობის მოამბეს“ სარედაქციო  
კოლეგიის წევრი.



ყოლილ სცენაზე, ვიმღერე „უკუუნა  
წვიმა“. დღეს ძალიან ძნელია, იმ  
ბავშვური ემოციების გადმოცემა,  
რაც მაშინ მივიღე. „კლუბი“ სავსე  
იყო მოსიყვარულე ხალხით. ბებიები,  
ბაბუები, დეიდები, ბიძები... კმაყო-  
ფილი ვარ, ჩემი ბავშვობით და ყვე-  
ლა იმ ადამიანებით,

ვინც მაშინ ჩემს  
გარშემო ტრია-  
ლებდა და მანებივ-  
რებდა. (სამ-  
წუხაროდ, ბევრი  
მათგანი ცოცხალი  
აღარ არის, ქედს  
ვიხრი მათი სსოვ-  
ნის წინაშე).

**ამ ბოლო დროს  
ხშირად ჩანხართ  
მედია სივრცეში,  
თქვენი სიმღე-  
რები მოსწონთ...  
როგორც თვი-**

ულალატო მეგობრობით, გამორჩე-  
ული სტუმარ-მასპინძლობით. ჩვენ  
არამარტო მეგობრობა, არამედ ნათ-  
ელმინობა გვაკავშირებს. მისი მე-  
ოთხე შვილის, გიორგის ნათლია  
ვარ, რომელიც სცენაზე ჩემთან ერ-  
თად მღერის.

ბევრი განსაცდელი გამოვიარე,  
მაგრამ ვფიქრობ, ადამიანმა დაცე-  
მაც ღირსეული უნდა იცოდეს და  
ფეხზე წამოდგომაც. ვფიქრობ, ეს  
გზა ღირსეულად გავიარე და დიდი  
პაუზის შემდეგ, ისევ დავუბრუნდი  
სცენას.

**რესტორანში მართლაც სა-  
უცხოო გარემოა, მომღერალ-  
ზე ბევრად არის დამოკი-  
დებული რამდენად დატვირთუ-  
ლად იმუშავენ რესტორანი.  
თქვენმა გამოჩენამ გაზარდა  
კლიენტების რიცხვი?**

—სასიამოვნოდ ვარ გაცოცხლებული.  
უფრო ჩემი სიმღერები. უამრავი

**ხომ არ გადავალეთ?**

—პირიქით, დიდი მად-  
ლობა, რომ დაინტერესდით ჩემით,  
მეიმედებით!

**რამე საინტერესო ცვლი-  
ლებები ხომ არ ხდება პირად  
ცხოვრებაში?**

—„მიყვარხარ, მიყვარხარ და მა-  
ინც წახვედი“...

**მომესმა თუ წამიღერეთ?**

—წავიმღერე (იცინის)...

**ცხოვრებაში თქვენს ქმე-  
დებებს რა მთავარი ღი-  
რებულებები განსაზღვრავს?**

—სიყვარული, რომელმაც გადა-  
მარჩინა და გადამარჩენს, ის ღმერ-  
თის ძალაა, რომელიც ან გაქვს ან  
არა, თუ გიყვარს გადარჩები.

**ნოსტალგია?**

—ბებიჩემი მენატრება. ძალიან  
მგრძობობადავ ადამიანი ვარ.

**პროფესიით მსახიობს, გი-  
ფიქრით როლზე?**

ბუკიას ორგანიზებით.

განსაკუთრებული მადლობა მას  
და ყველა ემიგრანტს გულთბილი  
მიღებისთვის, თანადგომისთვის.  
ასევე უღრმესი მადლობა იტალიის  
„ქართული კულტურის ცენ-  
ტრის“ მენეჯერს ქალბატონ ხათუ-  
ნა ქარაიას და ყველა იმ ადამიანს,  
ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩემი  
შემოქმედებითი საღამოს ასე  
წარმატებით ჩატარებისთვის. ბევ-  
რი ფიქრებზე ჩემს უმაგრეს  
გულშემბატოვებს. დიდი სიყვარ-  
ულით მოვიკითხავ კიდევ  
ერთხელ და ვუსურვებ თითოეულ  
მათგანს სამშობლოში მალე დაბრუ-  
ნებას...

**2023 წელი წარმატებული  
აღმოჩნდა თქვენთვის, ალბათ,  
არანაკლებია 2024 წლის პირ-  
ველი ნახევარიც. რა გეგმები  
გაქვთ მომავალში?**

—დიდი მადლობა. მრავალი სა-  
ინტერესო პროექტები გვაქვს და-  
გეგმილი ქართული სიმღერის პო-  
პულარიზაციისთვის უცხოეთში  
მე და ჩემს პროდიუსერ ირაკლი  
ნადარაიას, ემიგრანტებთან მე-  
გობრობამ, სიყვარულმა და მონატ-  
რებამ ისევ იტალიაში მიგვაბრუ-

# „ჩემოთვის დაიბადე“

ჩვენს გაზეთში პერიოდულად  
იბეჭდება წარმატებული სობელების  
შესახებ სტატიები, ერთ-ერთი  
ბრძანდებით თქვენ, ვარლამ (კუსა)  
ლადუა—მომღერალი.

ნაწილობრივ ჩვენი დიალოგი ქა-  
ლაქ ფოთში, რესტორან „პრალა-  
ში“ შედგა. დიდი მადლობა არაჩ-  
ვეულებრივი საღამოსთვის, სა-  
სიხარულოა, რომ მომეცა შე-  
საძლებლობა თქვენთან ექსკლუზი-  
ური ინტერვიუსთვის.

**სანამ მთავარ კითხვებზე გა-  
დავიდოდეთ რამდენიმე  
შტრიხი თქვენი ბიოგრაფიი-  
დან...**

—მოვესალმებით. დავიბადე ქალაქ  
სენაკში 1982 წლის 15 აგვისტოს.  
გავიზარდე სობში. ჩემი ბავშვობის  
წლები გავატარე დედულეთში—სო-  
ფელ ქარიატაში ბებიათან, რითაც  
ძალიან ბედნიერი ვარ. დავამთავრე  
სობის №1 საშუალო სკოლა, თბილი-  
სის საესტრადო-საცირო სპორტ-  
სკოლა და ქალაქ ბათუმის მემედ  
აბაშიძის სახელობის თეატრალუ-  
რი ინსტიტუტი (სამსახიობო ფა-  
კულტეტი). გარკვეული წლები  
ვიცხოვრე თბილისში, ბათუმში და  
ახლა დავფუნდირე ფოთში.

**ისაუბრეთ უფრო ვრცლად  
თქვენი გავლილი გზის შე-  
სახებ, ბავშვობიდან დღემდე.**

—ჩემი ბავშვობის ბედნიერება და  
სავიზიტო ბარათი ყოველთვის იყო  
და არის სობის კულტურის სა-  
სახლის სცენა, რომელმაც ყველაზე  
ნათელი მოგონება დამიტოვა ბავ-  
შვობიდან და ეს დღემდე მომყვება.

სიმღერა პატარა ასაკიდან და-  
ვიწყე. მიუხედავად იმისა, რომ ჩე-  
მი ბავშვობა 90-იან წლებს უკავ-  
შირდება, მეტად დატვირთული და  
ნაყოფიერი ბავშვობის წლები  
მქონდა. იყო კონკურსები, ფესტი-  
ვალები... წარმოუდგენლად ბედნი-  
ერი იყო ის პერიოდი ჩემთვის. ბევ-  
რი მოგონებები მაკავშირებს სობთან  
და სობელებთან, ვსარგებლობ  
შემთხვევით და თქვენი გაზეთის სა-  
შუალებით გულწრფელ მადლობას  
გადავუხდი ყველა იმ ადამიანს, ვი-  
საც წვლილი მიუძღვის ჩემს წარ-  
მატებაში. დღეს თუ რაიმეს წარ-  
მოვადგენ, ეს მათი დამსახურებაა.

**გაიხსენეთ თქვენი პირველი  
სიმღერა?**

—(იცინის) ჩემი პირველი სიმღე-  
რა მასხენდებდა სოფელ ქარიატაში  
მეგობრებთან ერთად ჩვენივე მოწ-

**თონ ამბობთ, რთული პერიო-  
დი გამოიარეთ, მაგრამ ცხოვ-  
რებისგან საოცარი შანსიც მი-  
იღეთ, გახდით პოპულარული  
მომღერალი. როგორ?**

—წარმატება და იმედგაცრუება  
ხშირად ენაცვლება ერთმანეთს, მთა-  
ვარია, ყველამ საკუთარი თავი ვი-  
პოვოთ ცხოვრებაში. გვიანი არას-  
დროს არის საკუთარი თავი შე-  
ვიცნოთ, ვიყო მართლები და ცხოვ-  
რება უფრო საინტერესო გახდა.  
სიმართლე გითხრათ წყნად გამოი-  
არა.

აინშტაინს აქვს ნათქვამი „ცხოვ-  
რება ველოსიპედს ჰგავს თუ გინ-  
და არ წაიქცე, არც ძალიან ნელა  
არ უნდა ატარო და არც სწრაფად.  
ეს სიტყვები ჩემი ცხოვრების ღე-  
ვიზად იქცა.

რაც შეეხება ჩემს პოპულარობას,  
ყველაფერი ერთი წლის წინ და-  
იწყო. ერთმა მეგობარმა, რომელიც  
ქართულ ტრადიციულ სუფრებზე  
ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს,  
სწორად დამანახა ჩემი შე-  
საძლებლობები. (ის ცნობილი თა-  
მადა გახლავთ), ბატონი ირაკლი  
ნადარაია.

სოფელ ჭალადიდში მცირე ბიზ-  
ნესი მაქვს, მინი მეურნეობა, სადაც  
ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს  
ვაწვდი მომხმარებელს. ერთ მშვე-  
ნიერ დღეს დაფიქრდით ორივე,  
ჩვენი შესაძლებლობები დაუკავში-  
რეთ ერთმანეთს და მივიღეთ გა-  
დაწყვეტილება გავეცხნა რესტო-  
რანი ქალაქ ფოთში, სადაც შე-  
საძლებელი იქნებოდა საკუთარი  
პროდუქტების რეალიზაცია, ასევე ჩე-  
მი მუსიკალური შესაძლებლობების  
გამოვლენა. მადლობა უფალს, ყვე-  
ლაფერი გეგმის მიხედვით განვი-  
თარდა, გამიმართლა. შევექმენი ჩე-  
მი სახე, მივაღწიე წარმატებას, გა-  
მიცნო ფართო სპექტრმა. უზომოდ  
მადლიერი ვარ ირაკლის. მასთან  
ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მა-  
ნიჭებს. მან, ჩემს ოცნებებს ფრთები  
შეასხა. ის საოცარი პიროვნებაა თა-  
ვისი ინტელექტით, განათლებით,

ადამიანი მოდის საქართველოს  
სხვადასხვა კუთხიდან. წინასწარ  
ხდება დაჯავშნა. მუსიკოსისთვის  
ამაზე უფრო დიდი ბედნიერება რა  
უნდა იყოს.

**ვიცი ოცნებობდით მშობლი-  
ურ სობში სოლო კონცერტზე,  
რომელიც შედგა, თქვენს შე-  
მოქმედებით საქმიანობაში რა  
როლი აქვს ბატონ ირაკლი ნა-  
დარაიას და ცნობილ პოეტს,  
ქალბატონ ნანა ცინცაძეს?**

—რა თქმა უნდა, როგორც ყველა  
მომღერალი, მეც ვოცნებობდი, რო-  
დის წარვსდგებოდი მშობლიური  
სობის წინაშე. საოცარმა საღამომ  
ყველა მოლოდინს გადააჭარბა, უღ-  
რმესი მადლობა ყველას თანადგო-  
მისთვის, მხარდაჭერისთვის, რამე-  
თუ თქვენი ღიმილი, აპლოდისმენ-  
ტები მაძლევს მოტივაციას, უფრო  
მეტი და მეტი საქმე ვაკეთო,  
მიყვარხართ, მეიმედებით. ასევე დი-  
დი მადლობა ადგილობრივი ხელი-  
სუფლების წარმომადგენლებს, გა-  
მონახეს დრო და დაესწრნენ ჩემს  
კონცერტს. ბატონი ირაკლი ბიზ-  
ნეს პარტნიორის გარდა ჩემი პრო-  
დიუსერია, ქალბატონი ნანა კი  
ოჯახის წევრივითაა. ის ისეთი ადა-  
მიანია, რომელთანაც შემიძლია გუ-  
ლახდლიად ვისაუბრო და შემდეგ  
მისი ლექსები საყვარელ სიმღერებად  
ვაქციოთ.

**ვიცი, რომ ქმნით და წერთ  
სიმღერებს?**

—მაქვს თორმეტი სიმღერა, აქე-  
დან ორი ჩემი დაწერილია (ქარ-  
თულ-მეგრული ვერსია) აგვისტო-  
ში დაემატება სამი. (ჩემი დაბადების  
დღის აღსანიშნავად).

**სიმღერა „ჩემთვის დაიბადე“  
გაკვირდა?**

—ფიქრობ, სიმღერა რომ გაკვი-  
რდეს, ამისთვის დიდი მნიშვნელობა  
აქვს მელოდიას, ტექსტს და ემო-  
ციურად რამდენად არის შენთან  
ახლოს. „ჩემთვის დაიბადე“ ჩემს რე-  
პერტუარში ერთ-ერთი გამორჩეუ-  
ლი სიმღერაა, რომელიც ყოველ დღე  
მმატებს მსმენელს.



—რატომაც არა, დიდი სიამო-  
ვნებით, განაჩნა შემოთავაზებას. კარ-  
გი და მისაღები წინადადების  
შემთხვევაში, უკან არ დავიხევ.

**პოპულარულ მომღერალ  
ხუჯაძეს გამგვანებენ, მართა-  
ლია?**

—დიდი მადლობა. ეს ჩემთვის დი-  
დი პატივია.

**სოციალური ქსელი „ააფეთ-  
ქა“ იტალიის ქალაქ რომში,  
ჩვენი თანამემამულის ემიგრანტ  
ინგა ბუკიას ორგანიზებით გა-  
მართულმა საღამოებმა და ქა-  
ლაქ რეჯო-კალაბრიაში ორგა-  
ნიზაცია „ქართული კულტუ-  
რის ცენტრის“ ხელშეწყობით  
მოწვეობლმა ღონისძიებამ, რო-  
მელიც ქალთა საერთაშორისო  
დღეს მიემდგინა.**

**როგორც ვიცი სპეციალური  
მოწვევით იმყოფებოდით, რო-  
გორ ჩაიარა „გასტროლებმა“?**

—ფანტასტიური საღამოები მი-  
ეწყო ჯერ რომში, გეთანხმებით ჩვე-  
ნი თანარაიონელის ქალბატონ ინგა

ნა. მათი თხოვნით 18 აპრილს მი-  
ვიმეზავრებით რეჯო-კალაბრიაში,  
სადაც გრანდიოზული კონცერტები  
გაიმართება. შემდეგ თურქეთში...  
ვნახოთ...

**ხასიათში პოზიტივი გაქვთ  
და ეს ძალიან მომწონს.**

—კი, ხასიათში პოზიტივი მაქვს  
და ეს მეც ძალიან მომწონს, ვცდი-  
ლობ, სულ პოზიტიური განწყობა  
შევიქმნა და უმნიშვნელო თუ მნიშ-  
ვნელოვანი ნეგატივი გავატარო.

**და ბოლოს, რამე ხომ არ  
დაგრჩათ სათქმელი? რას  
უსურვებდით გაზეთ „სობის  
მოამბეს“?**

—დიდი მადლობა ქალბატონო ნა-  
ირა. მინდა გისურვო ბევრი საინ-  
ტერესო, ნიჭიერი სობელის აღ-  
მოჩენა და მათი საზოგადოების წი-  
ნაში წარმოჩენა, ღირსეული რეი-  
ტინგი და ბევრი მკითხველი.

**მადლობა თქვენ საინტერესო  
ინტერვიუსთვის, წარმა-  
ტებებს ვისურვებთ.**

**ქსაუბრა  
ნაირა ბერაია**


**P.S. მომღერალ კუსა ლადუასთან ინტერვიუს დამთავ-  
რების შემდეგ დაუკავშირდი პროდიუსერ ირაკლი ნადა-  
რაიას და ვთხოვე მოეწოდებინა ინფორმაცია უცხოეთში  
დაგეგმილი სოლო კონცერტების შესახებ.**

**იტალია, რომი—რეჯო-კალაბრია, უდინეი (აპრილი). თურ-  
ქეთი: ანკარა, სტამბოლი (მაისი).**

„მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცეში მოსულ ადამიანებს ტყავის აბეგებში წიგნებიც ელაგათ. რა იქნა ის წიგნები? ნუთუ აქ, ამ ოცდამეერთე საუკუნეში წიგნი აღარავის სჭირდება? მაშ რატომ დაკარგა ფასი, რატომ შეცვალა ფასი, რატომ დაკარგა ყველა ენაზე მოლაპარაკე აპარატმა? დღეს ჩვენში გაიგონებთ, ვისაც წიგნი უყვარს, იმას ფული არა აქვს, ვისაც ფული აქვს, იმას წიგნი არ უყვარსო. ვითომ მარტო ამიტომ აიცრუა მკითხველმა გული წიგნზე? ვითომ მხოლოდ ამიტომ დაკარგა მწერლობამ ერთგული მკითხველი, რომელიც პურის ფულს იკლებდა, მაგრამ წიგნს მაინც ყიდულობდა“.

ნუზარ შატაიძე.

# წიგნი-ჩვენი საუნჯე



წიგნი-ჩვენი ცხოვრების უდიდესი სამკაულია. ბრძენს თუ დავესესხებით „უწიგნოდ განათლებული ადამიანები არ არსებობენ“. მას ადამიანის აღზრდისთვის უდიდესი ზემოქმედების ძალა გააჩნია. დღევანდელ პირობებში ადამიანს არა აქვს იმის საშუალება, მისთვის საჭირო ყველა წიგნი შეიძინოს, ამისთვის არსებობს ბიბლიოთეკა. ქალაქ სობს გააჩნია თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რითაც ხობელი მკითხველები დიდად ვამაყოფთ. თავის ქებად არ ჩამეთვლება თუ ვიტყვი, რომ საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი საკუთარი ბიბლიოთეკა მაქვს, მაგრამ თედო სახოკიას სახელობის სობის ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მკითხველი, მეც ვარ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში შინაარსობრივად, ასეთი მდიდარი ფონდის მქონე ბიბლიოთეკა, ნამდვილად არ მოიძებნება. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს განათლებული პიროვნება ლუიზა ცანავა, თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ ჩვეულებრივ სიტყვას არ

ძალუმს ლუიზა ცანავას პიროვნული ღირსების აღწერა. იმ გაწკრივებულ დარბაზში, მზის სხივით რომ ავსებულა, ირგვლივ ყველაფერი ანათებს, შეწუხებულიც რომ მოდიოდეთ, იქ სული დაგიმშვიდდებათ. დაე, ისინი დიდხანს იყვნენ, რათა გაგვიღამაზონ ურთულესი ყოველდღიური ყოფა. რაც შეეხება ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს, ვიტყვით, მართლაც შესანიშნავები, ძალიან ყურადღებიანები არიან. ადამიანებში ყოველთვის კარგს ვეძებთ, მაგრამ მათში საძებნი არაფერია, ისინი შესაშური ტაქტიკით არიან დაჯილდოებული. მკითხველი უდაოდ დაინახავს მათში დიდ ღირსებებს. წიგნი-ჩვენი საუნჯეა, მაგრამ მის გამოყენებაში დიდი წვლილი ბიბლიოთეკის მუშაკებს მიუძღვის. გიყვარდეთ წიგნი, მაგრამ ამავე დროს, პატივი ვცეთ და დავაფასოთ ბიბლიოთეკართა შრომა. „წვეთი ქვას ხეთქავს, ძალით კი არა, არამედ დინჯი, ხშირი დაცემით. კაციც ბრძენდება, ძალით კი არა, არამედ კითხვით, ბრძენთა ნაწერით“.

**ლალი ლატარია.**

# სკოლისეენ მიმავალი ყველა გზა სწორია...

სკოლა „არეას“ VIII კლასის წარმატებული მოსწავლე მარიამ ფიქარიშვილი ოცნებობს, საუბრობს, წერს თავის ბრძოლებზე, ემოციებზე, სიყვარულზე ფიქრობს, რომ მისი სკოლისკენ მიმავალი ყველა გზა სწორია და ამით კალიან ბედნიერია. ბთავაზობთ ამონარიდს მისი დღიურიდან და ვუსურვებ წარმატებებს.



ნაირა ბერაია

დიდად არ მჩვევია ჩემი განცდების სხვისთვის გაზიარება, ამისთვის საუკეთესო საშუალება დღიურის წერაა, მე კი მინდა გაგანდოთ განცდილი და ნაფიქრი. ვიცი მარტო არ ვარ. ასე, რომ გირჩევთ თქვენი გრძნობები და განცდები გულში არ ჩაიდოთ. ახლა კი ყველაფრის მიუხედავად. წაგიკითხავთ ამონარიდს ჩემი დღიურიდან. ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ მე ჩემი სკოლის დახასიათება მინდა. რთულია არ გიყვარდეს ადგილი, სადაც დროის დიდ ნაწილს ატარებ, რომელთანაც უამრავი მოგონება გაკავშირებს. ეს ის ადგილია, სადაც გიყვარს და უყვარხართ. მოგესვენებათ, ბავშვებს უსაზღვრო ფანტაზიის უნარი გვაქვს, ამიტომაც მოდი, დროებით გავცდეთ რეალობის ჩარჩოებს და მთლიანად ფანტაზიაში გადავეშვათ... ჩვენი სკოლისკენ მიმავალი ყველა გზა სწორია, ეზოში კი თითოეული კოშკი თავის ისტორიას ინახავს, მასზე ხშირად ზრუნავს უფროსი „ფუტკარი“ იმიტომ, რომ მისი მნიშვნელობა იცის.

უფროსილდება და აფასებს მას. თითოეულს თავისი მოვალეობა აკისრია. ჩვენი მოვალეობა კი მათი გაფრთხილებაა. კარიბჭის წინ, ეზოს შუაგულში ისეთი სიწმინდეა, რაც მუდამ ჩვენს გულში არის. შეუძლებელია მისი დანახვისას სხვა რამეზე ფიქრობდე, გარდა სიყვარულისა, სიკეთისა და ურთიერთპატივისცემისა. ეს სიწმინდე თითოეულის გულშია, განსხვავება ისაა, რომ ზოგის გულში უკვე კაშკაშებს, ზოგთან დროებით მიუძინია, ზოგთანაც კი საძულამოდ ჩამქრალა. ჩვენს კარიბჭეს კარისკაცები იცავენ, ისინი ჩვენი ერთგული მეგობრები არიან. თურმე, სიზმარშიც ჩვენ გვხვდავენ, განსაკუთრებით ისინი, ჩვენს მუდამ მოფუსფუსე „ფუტკარს“ უყვარს, რომელიც ასევე ჩვენს სისუფთავეზე ზრუნავს. ერთი შეხედვით, ჩვენი დიდი ოჯახი აუღებელი ციხე-სიმაგრეს ჰგავს. ახლა კი „სკაში“ შევიჭვრიტოთ, აქ ყოველდღე სიხარულია, „უფროსი ფუტკრები“ მუდამ ფუსფუსებენ,

მათი გულები უსაზღვრო სიყვარულის მატარებელია. საიდან ვიცი? თვალი არასოდეს იტყუება, ის სიწმინდე კი თითოეულის გულში თვალისმომჭრელად კაშკაშებს, ისინი უმცროსებს უფრთხილდებიან და მათ მომავალზე ფიქრობენ, იმოდენა საგანძურს გვაძლევენ, რაც ყველა მატერიალურზე მეტად ფასობს, რასაც არასდროს აკლდება, რასაც ვერავინ წაგვართმევს. აქ კი ყველაფერი საუცხოოა, მრავლად შეხვდებით აწ უკვე გაფრენილი „ფუტკრების“ მიღწევებს. უყურებ და გიხარია, სიამაყის გრძნობით ივსები. აღუწერელი გრძნობაა. ზედა სართულზე ყველაფერზე სიახლის სუნი იგრძნობა, განსაკუთრებით ის სარკე მომწონს, რომელსაც თითქოს რაღაც დატვირთვა აქვს, მაგრამ შიგ ჩახედვას ვერ ბედავ. საერთო ჯამში ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ერთმანეთი გვიყვარს, ვაფასებთ და პატივს ვცემთ. ჩანაფიქრიც ბევრი გვაქვს რომლის ახდენაში ჩვენს ერთად ყოფნას დიდი ძალა აქვს.

**რედაქტორი-ბეჟან ნადარაია. ტელ: 579-72-61-72**  
**სარედაქციო კოლეგია:**  
 მერი ლაგვილავა-პასუხისმგებელი მდივანი, ნანი კილასონია-ჟურნალისტი, გოგიტა ჩიტაია, გოგი ბუკია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ნინა ბუკია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
 გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში (დირექტორი კობა კობახიძე). ტელ: 577 60-22-21.  
 ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.  
 დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.  
 გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.